



მომსახურების სააგენტო

წლიური
ანგარიში

2024

სარჩევნი

მომსახურების სააგენტოს შესახებ ABOUT THE SERVICE AGENCY	1
ეროვნული მართვის მოწმობის აღიარება სხვა ქვეყნებში RECOGNITION OF NATIONAL DRIVING LICENSE IN OTHER COUNTRIES	2
სერვისების განვითარება DEVELOPMENT OF SERVICES	3
მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები IMPORTANT LEGISLATIVE CHANGES	4
ინფრასტრუქტურული პროექტები INFRASTRUCTURE PROJECTS	5
საერთაშორისო თანამშრომლობა INTERNATIONAL COLLABORATION	6
ყოველწლიური ღონისძიებები ANNUAL EVENTS	7
სამომავლო გეგმები FUTURE PLANS	9

მომსახურების სააგენტოს შესახებ

ABOUT THE SERVICE AGENCY

მომსახურების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები ქვეყნის მასშტაბით 11 ქალაქში არის წარმოდგენილი: თბილისი, რუსთავი, გორი, თელავი, ახალციხე, საჩხერე, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ფოთი და ბათუმი. გარდა ამისა, მობილური ჯგუფები ახალქალაქის, დაბა მესტიისა და ამბროლაურის მოსახლეობას პერიოდულად აწვდიან სერვისებს. დაინტერესებულ პირებს მომსახურების სააგენტოს სერვისებით სარგებლობა დროის მცირე მონაკვეთში, როგორც დისტანციურად, ასევე სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში შეუძლიათ.

The Service Agency operates through its structural units in 11 cities country-wide, including Tbilisi, Rustavi, Gori, Telavi, Akhaltsikhe, Sachkhere, Kutaisi, Ozurgeti, Zugdidi, Poti, and Batumi. Additionally, mobile groups periodically extend their services to residents in Akhalkalaki, Mestia, and Ambrolauri.

Individuals interested in the Agency's services can quickly access them either remotely or by visiting the structural units. The Agency offers services in four primary areas:

მომსახურების სააგენტოს მიერ სერვისების მიწოდება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

-  **სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სერვისები**
SERVICES RELATED TO VEHICLE REGISTRATION
-  **სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობასთან დაკავშირებული სერვისები**
SERVICES RELATED TO A DRIVING LICENSE OF A VEHICLE
-  **იარაღთან დაკავშირებული სერვისები**
SERVICES RELATED TO FIREARMS
-  **ცნობების გაცემასთან დაკავშირებული სერვისები**
SERVICES RELATED TO ISSUING CERTIFICATES

ეროვნული მართვის მოწმობის აღიარება სხვა ქვეყნებში

RECOGNITION OF NATIONAL DRIVING LICENSE IN OTHER COUNTRIES

საქართველოს მთავრობამ ესპანეთის სამეფოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი. ასევე, მართვის მოწმობების გადაცვლის შესახებ, ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და ირლანდიას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს.


The government of Georgia has signed an agreement with the government of the Kingdom of Spain and the government of the Republic of Greece on the mutual recognition and exchange of driving licenses. Also, a memorandum of understanding was signed between the government of Georgia and Ireland on the exchange of driving licenses.

შეთანხმების თანახმად, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელებს, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეუძლიათ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

According to the agreement, holders of a valid driving license issued by the parties, without having to pass a theory or practical test, can obtain a driving license of equal force in the state of their legal residence.

ამ ეტაპზე საბერძნეთის რესპუბლიკასთან შეთანხმება მხარეთა მიერ შესაბამისი შიდა პროცედურების დასრულების შემდეგ შევა ძალაში.

At this stage, the agreement with the Republic of Greece will enter into force after the completion of the relevant internal procedures by the parties.



სერვისების განვითარება

DEVELOPMENT OF SERVICES

» მომსახურების სააგენტომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემა დაიწყო. საერთაშორისო მართვის მოწმობა გაცემა ერთი წლის ვადით, ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე. დოკუმენტი მოქმედებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ჟენევის კონვენციის წევრ ქვეყნებში. სააგენტოს მიერ ასევე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობაც გაცემა, რომელიც მოქმედია 3 წლის ვადით.

» ავტომობილისა და მოტოციკლის ტრანზიტული სანომრე ნიშნების გაცემის წესი და დიზაინი შეიცვალა. ცვლილების შედეგად, ტრანზიტული ნომრის გაცემა ხდება პერსონალურად, კონკრეტულ სატრანსპორტო საშუალებაზე და მისი გამოყენება სხვა პირს არ შეუძლია. აღნიშნული ცვლილებები, ასევე, ხელს უწყობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელების ადმინისტრირებას.

» სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით თბილისში სარეგისტრაციო მომსახურების ახალი ცენტრი გაიხსნა. ასევე, სარეგისტრაციო მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელი გახდა საქართველოს ბანკის სამ ფილიალში.

» The Service Agency has started issuing international driving licenses stipulated by the Geneva Convention on Road Traffic of September 19, 1949. An international driving license is issued for a period of one year on the basis of a national driving license. The document is valid outside Georgia in the states parties to the Geneva Convention. The Agency also issues an international driving license under the Vienna Convention on Road Traffic of November 8, 1968. The license is valid for 3 years.

» The procedure for issuing and design of transit number plates of cars and motorcycles has been changed. As a result of the change, the transit number is issued personally, on a specific vehicle, and cannot be used by another person. The mentioned changes also facilitate the administration of fines stipulated by Administrative Offenses Code.

» In order to increase the availability of services, a new registration service center was opened in Tbilisi, and it became possible to use registration services in three branches of the Bank of Georgia.



მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

» საქართველოს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, გაფართოვდა იმ სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიების/ქვეკატეგორიების წრე, რომელთა მართვისათვის ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს აღარ აქვთ დამაბრკოლებელი გარემოება. აღნიშნული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირს, „AM“, „A“, „B“, „BE“, „A1“, „A2“, „B1“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლა შეუძლიათ.

ბრძანებაში ცვლილების შეტანამდე, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს „AM“ და „A1“ კატეგორია/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ენიჭებოდათ, ხოლო „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლის უფლება მხოლოდ გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ჰქონდათ.

» ცვლილება შევიდა გაზის (აირის) იარაღის შექმნის/რეგისტრაციის წესში. ცვლილების თანახმად, თუ პირს სურს გაზის (აირის) იარაღის შექმნა/რეგისტრაცია საჭიროა მომსახურების სააგენტოში წარადგინოს იარაღის შენახვის/რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან თანხმობა.

» ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1-ელი აგვისტოს № 598 ბრძანებაში, რომლის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპს ახალი საგამოცდო მარშრუტები დაემატა სამ ქალაქში, კერძოდ თელავში, გორსა და ოზურგეთში.

IMPORTANT LEGISLATIVE CHANGES

» On the basis of the amendment of the joint Decree of the Minister of Internal Affairs of Georgia and the Minister of Labor, Health and Social Affairs of Georgia, the range of vehicle categories/subcategories for deaf and hearing-impaired persons has been expanded and therefore obstacles for these individuals have been removed. The individuals with the aforementioned health condition are permitted to take a driving test with the permit to drive vehicles of categories/subcategories: „AM“, „A“, „B“, „BE“, „A1“, „A2“, „B1“. Prior to the relevant amendments, deaf and hearing-impaired individuals were permitted to drive vehicles of AM and A1 categories, while in order to take a driving exam for vehicles of category B, the individuals had an access only under certain conditions.

» Amendment was applied to the purchase/registration rule of gas weapon. In accordance with the changes, individuals, willing to acquire/register gas weapon are required to submit to the Service Agency a consent from the relevant territorial authority of the Ministry of Internal Affairs of Georgia according to the location of storage/registration of the weapon.

» Amendments were made to the Order №598 issued by the Ministry of Internal Affairs of Georgia on August 1, 2012, according to which a new route was added to the second stage of practical driving test in three cities of Georgia namely in Telavi, Gori and Ozurgeti.




ინფრასტრუქტურული პროექტები

- » რუსთავის სტრუქტურულ ერთეულში ქოლ-ცენტრისთვის მოწყობილი ახალი სივრცე. არსებულ შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.
- » რუსთავის სტრუქტურულ ერთეულში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის სარეგისტრაციო შენობა გაფართოვდა.
- » გორის სტრუქტურულ ერთეულში იარაღის ბალისტიკისთვის, იარაღის თეორიული გამოცდისთვის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება/ექსპერტიზისთვის საჭირო შენობები აშენდა და არსებულ ცენტრალურ შენობაში სარემონტო სამუშაოები განხორციელდა.

INFRASTRUCTURE PROJECTS

- » A new office space has been arranged for call-center in Rustavi structural unit, the existing building was reconstructed and appropriately equipped.
- » Registration building for the second stage of practical driving test in Rustavi structural unit has been expanded.
- » New buildings were constructed in Gori structural unit assigned for forensic ballistics of firearms, firearms theory exam and examination/expertize of vehicles as well as the present central building was repaired.



საერთაშორისო თანამშრომლობა

მომსახურების სააგენტომ სხვადასხვა ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების (უზბეკეთი, თურქმენეთი, მოლდოვა, ესპანეთი, გერმანია, აღმოსავლეთ კარიბის ქვეყნები და ინტერპოლის გენერალური სამდივნო) 8 ოფიციალურ ვიზიტს უმასპინძლა.


INTERNATIONAL COLLABORATION

Service Agency of MIA has hosted 8 official visits of representatives of different countries and international organizations (Uzbekistan, Turkmenistan, Moldova, Spain, Germany, Eastern Caribbean states and General Secretary of Interpol).



ყოველწლიური ღონისძიებები ANNUAL EVENTS

31 მაისი პოლიციელის დღე
MAY 31 POLICE DAY



26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
MAY 26-INDEPENDENCE DAY OF GEORGIA



სამომავლო გეგმები

FUTURE PLANS

» მომსახურების სააგენტო აგრძელებს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და 2025 წლის 1-ელი ოქტომბრიდან CE, C1E, DE, D1E კატეგორიები/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდება. ამ ეტაპზე მართვის უფლების მისაღებ გამოცდას რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებში B, BE, C, C1, D, D1 კატეგორიებზე/ქვეკატეგორიებზე გამსვლელი კანდიდატები აბარებენ.

» Service Agency continues implementation of EU Association Agreement commitments and practical part of driving exam for acquiring permit to drive vehicles of categories/subcategories CE, C1E, DE, D1E will be conducted in two stages as off October 1, 2025. At this point, driving candidates applying for categories/subcategories B, BE, C, C1, D, D1 are participating in driving exams in real environment.





2024